საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2748 2019 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

ი/მ „თეა ებრალიძისთვის“ სახელმწიფო ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის ფორმით გადაცემაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, იჯარის ფორმით, აუქციონის გარეშე, 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ი/მ თეა ებრალიძეს (ს/ნ: 26001001022), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომელთა საკვებით უზრუნველყოფის მიზნით, გადასცეს მის სარგებლობაში არსებული:

ა) ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №52-ში მდებარე შენობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.13.08.011.040) ნაწილი, კერძოდ, 19,5 კვ. მ ფართი, აგრეთვე მასში განთავსებული მოძრავი ქონება (ყოველთვიური

საიჯარო ქირა განისაზღვროს 218.85 ლარის (ორას თვრამეტი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი) ოდენობით);

ბ) ქ. თბილისში, სანაპიროს ქუჩა №4-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.001) ნაწილი, კერძოდ, მე-2 სართულზე მდებარე 16.3 კვ. მ ფართი, აგრეთვე მასში განთავსებული მოძრავი ქონება (ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 245 (ორას ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**